ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

მოქალაქის გზამკვლევი

2024 წელი

შინაარსი

შესავალი 3

ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში 3

ბიუჯეტის შემოსულობები 3

ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით 5

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 7

ინფრასტრუქტურის განვითარება 9

დასუფთავება და გარემოს დაცვა 12

განათლება 14

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 16

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 19

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 20

შესავალი

ბიუჯეტის ანგარიშის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უკვე განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ შედეგებს, განხორციელებულ აქტივობებს სძენს მეტ საჯაროობას.

ბიუჯეტის ანგარიშის გზამკვლევი მოიცავს ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიშის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის ანგარიშის პროექტი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილი იყო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2023 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

გზამკვლევში მოყვანილი 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით არსებულ მონაცემებს.

ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2021-2023 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.

გრაფიკი #1



ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი, რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

გრაფიკი #2



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 19,6 მლნ ლარი (გრაფიკი #3).

გრაფიკი #3



გრაფიკებში #4-#5 მოცემულია 2021-2023 წლებში ონის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #6 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2021-2023 წლები).

გრაფიკი #4



გრაფიკი #5



გრაფიკი #6



მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტმა შეადგინა 3,443.6 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 17,5 %-ს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #7-ზე.

გრაფიკი #7



2023 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან დაფინანსდა შემდეგი ხარჯები:

	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	**საკუთარი სახსრები**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**3,442.6**
01 01 01	ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო	957.3
01 01 02	ონის მუნიციპალიტეტის მერია	2,368.0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	111.9
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	5.4

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #8-ზე.

გრაფიკი #8



2023 წლის განმავლობაში მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით 196.6 ათასი ლარი, დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:

- ქ. ონში მერიის შენობაში ძლიერი ყინვების შედეგად დაზიანებული და მწყობრიდან გამოსული 4 გამათბობელის (საქვაბე) დემონტაჟის და ახლის შეძენა-მონტაჟის სამუშაოები;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში 2023 წლის 23-25 თებერვალს მოსული უხვი ნალექის (თოვლი) შედეგად დაზიანებული სოფლის მისასვლელი გზების წმენდის სამუშაოები;
- ონის მუნიციპალიტეტში ღია კინოთეატრის მოწყობის სამუშაოების დასრულებისთვის მასალების შეძენა;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში ბარსა და ბაჯიხევში დაზიანებული სოფლის მისასვლელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდსა და პატარა ღებს შორის დაზიანებული ხიდის დემონტაჟის სამუშაოები;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფლების ბარი-მრავალძალის დამაკავშირებელი მეწყრული პროცესების შედეგად დაზიანებული ცენტრალური გზის რეაბილიტაცია;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ონჭევში სტიქიისგან (ძლიერი წვიმა,წყალდიდობა) დაზიანებული შიდა გზების (სათიბებამდე და სავარგულამდე) შეკეთება;
- ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში 3 აგვისტოს მდინარე ბუმბურას ადიდების შედეგად წარმოქმნილი მეწყრული პროცესების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარების ნივთების,საწვავისა და ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა;

- ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში 3 აგვისტოს მომხდარი სტიქიის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქეების სარიტუალო მომსახურება;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღებში ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯინჭვისში დაზიანებული წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების აღსანიშნავად გასამართი ღონისძიებისათვის ევროკავშირის გარე მოხმარების დროშების შესყიდვა;
- საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით მიძღვნილ ღონისძიებაზე დასწრების მსურველთა ტრანსპორტირებით მომსახურება.

ინფრასტრუქტურის განვითარება

ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 67% დაიხარჯა ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 13,193.0 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #9-ზე.

გრაფიკი #9



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	საკუთარი სახსრები
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**13,192.8**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3,894.2
02 02	წყლის სისტემის განვითარება	477.9
02 03	გარე განათება	349.1
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1,363.3
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,387.5
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	612.0
02 07	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	753.1
02 08	სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2,516.5
02 09	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	542.5
02 10	ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კალსტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით	296.7

გრაფიკი #10



<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების</u> პროგრამა - 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მოხდა დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ:

- სოფ. ლაგვანთა-საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლების მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონით კაპიტარული რეაბილიტაცია;
- სოფ. სევის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- გომი-ჯინჭვისის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ ლაჩთის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ ლაგვანთაში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;
- სოფელ წოლაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ ღარში სამი სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;
- სოფელ ხეითში შიდა საუბნო სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;
- სოფელ გლოლაში დაზიანებული ორი სახიდე გადასასვლელისა და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია;
- სოფლებში ქვედში, ონჭევში, ბაჯიხევში და პატარა ღებში გზების, ხიდების და საფეხმავლო გადასასვლელების კაპიტალური რეაბილიტაცია.

<u>წყლის სისტემების განვითარების</u> პროგრამა - წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია და წყლის სისტემის ექსპლოატაცია.

წყლის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. 2023 წლის ბიუჯეტით განხორციელდა:

- სოფელ სამთისში სათავე ნაგებობისა და 5 000 გრძ.მ. მაგისტრალის რეაბილიტაცია;
- სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფელ გლოლაში სასმელი წყლის სისტემისა და სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია;
- სოფელ სორში წყალსაქაჩი ტუმბოსა და წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

<u>გარე განათების პროგრამა</u> - დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ონში და სოფლების ძირითად ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 95%. გარე განათების პროგრამა მოიცავს 2 ქვეპროგრამას: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში. 2023 წლის ბიუჯეტით განხორციელდა:

- შეიცვალა 3 128 ცალი ნათურა;
- შეიცვალა 197 ცალი ლამპიონი;
- შეიცვალა 50 საყრდენი ბოძი;
- შეიცვალა 10 713 გრძ. მეტრი სადენი;

<u>კეთილმოწყობის ღონისძიებები</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს განხორციელდა:

- შესრულდა 700 მეტრზე საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც გულისხმობს ქალაქის გარკვეულ მონაკვეთებზე საფეხმავლო ბილიკების, ღობეების, გამწვანების ზოლებისა და გარე განათების მოწყობას;
- აგრარული ბაზრის შენობის მშენებლობისათვის საწყისი სამუშოები;
- მოეწყო ღია აუზი და 500 კვ.მ. ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- შესრულდა 750 მ 2 სკვერის კეთილმოწყობის სამუშოები.

<u>მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების პროგრამა</u> - პროგრამის ფარგლებში:

- შეძენილი იქნა 2 ერთეული ავტობუსი;
- შეძენილი იქნა 1 ნაგავმზიდი ავტომანქანა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 4 %-ი დაიხარჯა დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 777.1 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში

გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #11-ზე.

გრაფიკი #11



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	საკუთარი სახსრები
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**777.1**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	664.6
03 02	მწვანე ნარგავების და სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა	102.5
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლა-პატრონობა	10.0

<u>დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამა</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- 116 620 მ2 ფართობის ტერიტორიის დასუფთავება;
- 292 ცალი ბუნკერის დაიცლა და გასუფთავება;
- 900 მ2 შენობის შიდა ფართობის დასუფთავება;
- 6 ერთეული ბიო ტუალეტის დასუფთავება.

<u>მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- 3 000 მ2 ფართობზე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

<u>უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- 60 ძაღლის თავშესაფარში გადაყვანა.

გრაფიკი #12



განათლება

ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 3.1 %-ი დაიხარჯა განათლების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 615.8 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #13-ზე.

გრაფიკი #13



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	საკუთარი სახსრები
04 00	**განათლება**	**615.7**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების მიმდინარე დაფინანსება	427.9
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	177.0
04 05	წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემა	10.9

სკოლამდელი განათლების - პროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში:

- საბავშვო ბაღის მომსახურებით ისარგებლა 140 ბავშვმა;
- დაწყებითი განათლების მიღებისათვის მომზადდა 45 აღსაზრდელი.

საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში:

- ტრანსპორტის მომსახურებით ისარგებლა 150 ბავშვმა.

წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემის პროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში:

- დაფინანსებულ იქნა 13 სტუდენტი.

გრაფიკი #14



კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 6.1 %-ი დაიხარჯა კულტურა, ახალგაზრდული და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1 188.9 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #15-ზე.

გრაფიკი #15



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	საკუთარი სახსრები
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**1,188.9**
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	385.3
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	685.3
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	10.7
05 04	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	107.6

პრიორიტეტზე გამოყოფილი ასიგნებების დიდი ნაწილი მოდის კულტურის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე. ამ პროგრამების ჯამური დაფინანსება მთლიანი პრიორიტეტის 90 %-ია.

<u>სპორტის განვითარების ხელშეწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი, სადაც არსაზრდელთა რაოდენობამ შეადგინა 152 ბავშვი;
- ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი, სადაც არსაზრდელთა რაოდენობამ შეადგინა 62 ბავშვი;
- „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ამარანტები“,

<u>კულტურის განვითარების ხელშეწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახ. სამუსიკო სკოლა- 32 მოსწავლე;
- ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახ. სამხატვრო სკოლა - 87 მოსწავლე;
- ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახ. კულტურის სახლი - 207 მოსწავლე;
- ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
- ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა;
- ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი.

<u>ახალგაზრდების მხარდაჭერა</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

<u>გრაფიკი #16</u>



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 2,2 %-ი დაიხარჯა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 428.9 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #17-ზე.

გრაფიკი #17



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	საკუთარი სახსრები
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**428.9**
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	54.2
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	374.7

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი;
- ინფექციური დაავადებები 70 ბენეფიციარი;
- იმუნიზაციის ღონისძიებები (ბავშვთა გეგმიური აცრები) 366 ბენეფიციარი;
- იმუნიზაციის ღონისძიებები (გრიპის ვაქცინაცია) 293 ბენეფიციარი;
- იმუნიზაციის ღონისძიებები (ანტირაბიული) 199 ბენეფიციარი;

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ობიექტებში სანიტარული ნორმების ზედამხედველობა 20 ობიექტი

<u>ავადმყოფთა სოციალური დაცვა</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 247 ბენეფიციარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა - 63 ბენეფიციარი;
- ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები - 354 ბენეფიციარი;
- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა - 2 ოჯახი;
- 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება - 30 ბენეფიციარი;
- არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები - 295 ბენეფიციარი;
- ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვისა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები - 24 ბენეფიციარი;
- ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება - 337 ოჯახი;
- ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა - 20 ბენეფიციარი.

<u>გრაფიკი #18</u>



ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2021-2023 წლების მიხედვით ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 58,533.2 ათასი ლარი. ამ ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #19-ზე და #20 გრაფიკებზე:

გრაფიკი #19



გრაფიკი #20



როგორც გრაფიკებიდან ჩანს ონის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 69% (40.3 მლნ ლარი) კლასიფიცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სიდიდით მეორე ბოლო 3 წლის მიხედვით არის საქონელი და მომსახურების მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 6.7 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 12%).

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სიდიდით მესამე ბოლო 3 წლის მიხედვით არის შრომის ანაზრაურების მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 5,9 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 10%).

შემდეგ მოდის საბიუჯეტო კლასიფიკაციის სუბსიდიის მუხლი საიდანაც ბოლო 3 წლის მიხედვით ჯამში დაიხარჯა 3,8 მლნ ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 7 %-ია და ა.შ.

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #21-ზე.

გრაფიკი #21